სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №155

ხარაგაული: **24 ივლისი 2025 წელი.**

ერთის მხრივ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის **კობა ლურსმანაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „გეოლოჯიქ“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავითი ბახსოლიანი**-ს სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 22 ივლისის №2125 განკარგულების (SMP250001763) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 “ხელშეკრულების ჯამური ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებამ), მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას, მომსახურების გაწევას ან სამუშაო(ები)ს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხემაღალსა და სოფელ ღვერკში განვითარებული მეწყრულ ფერდობზე, კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, საინჟინრო მომსახურების შესყიდვა, **დანართი N1-ის** შესაბამისად.
2.2 კლასიფიკატორის კოდი – CPV71351000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური საორიენტაციო ღირებულება შეადგენს: **148 857.00 (ას ორმოცდარვა ათას რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ნული თეთრი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
4.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.3 იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს ,,შემსყიდველი."
4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას განხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის ჯგუფი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადა

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს, ხელშეკრულების დადებიდან **2025 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.**
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მისამართზე, **დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქ N15-ში.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.
6.2 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს, მიმწოდებლის მიერ მოწოდებული გეოლოგიური კვლევებზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე. (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას)). აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით.
6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადა ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის კონტროლის ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების დადასტურების დღე.
6.4 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, ეროვნული ვალუტით ლარში;
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.
7.3 მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.
7.4 შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.
7.5 ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.
7.6 მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.
7.7 მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
7.8 წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი.
7.9 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **დანართი N1-ის** შესაბამისად, მიმწოდებლისაგან ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შესაბამისად მომზადებული მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში;

8. გარანტია და პასუხისმგებლობა

8.1 გეოლოგიური კვლევების მიზნით შედგენილ დოკუმენტაციაში, გამოვლენილი უზუსტობების/შეუსაბამობების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის მიწოდება შემსყიდველისათვის.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში (არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

11. მხარეთა უფლება–მოვალეობები

11.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
–შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
11.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
11.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
–მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
11.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
12.2 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.
12.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.4 ამ ხელშეკრულების 12.3 და 13.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარემ რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% (ათი) პროცენტის ოდენობით. მეორე მხარის სასარგებლოდ.
12.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
12.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.
14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.**
17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და შტამპით.

18. ინტერესთა კონფლიქტი:

18.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

19. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის
მუნიციპალიტეტი ს/კ 243570989
მისამართი. ხარაგაული 9 აპრილის ქ, N15
მობ. 599852605
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი:200122900.
ელ- ფოსტა kharagauli.meria.kancelaria@gmail.com

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი
კობა ლურსმანაშვილი

Koba Lursmanashvili 56001002623
Digitally signed by Koba Lursmanashvili
Date: 2025.07.24 15:37:56

მიმწოდებელი:

შპს „გეოლოჯიქ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 405504057
მის. თბილისი, ვაკის რაიონი, წყნეთის გზატ., I გას. N 1, ბ. 15
მობ: 555 020987
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ა.ა GE88TB7336736080100008
ელ- ფოსტა geologicalcompany@gmail.com

შპს „გეოლოჯიქ“-ის დირექტორი
დავითი ბახსოლიანი

David Bakhsoliani 35001061461
Digitally signed by David Bakhsoliani
Date: 2025.07.24 15:28:28

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხემაღალის და სოფელ ღვერკის ტერიტორიაზე არსებულ მეწყრულ ფერდობზე ჩასატარებელი კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის				დანართი N1
სამუშაოს აღწერა	**განზ.**	**საორიენტაციო რაოდ.**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**მთლიანი ფასი (ლარი)**
მოსამზადებელი სამუშაოები				
საბურღი დაგანდგარის, მოწყობილობების და პერსონალის მობილიზაცია თბილისიდან ხარაგაულში, განთავსებისა და გადაადგილების ხარჯები და დემობილიზაცია ხარაგაულიდან თბილისში (საორიენტაციოდ 20 დღიანი პერიოდი)	–	1	14000.00	14000.00
საველე სამუშაოები				
საკვლევი ტერიტორიის აეროგადაღება დრონით და ციფრული სასიმაღლო მოდელის (DEM) და „ორთოფოტოს" მომზადება	–	1	8000.00	8000.00
სამიზნე არეალის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რა დროსაც დადგინდება საზღვრები საინჟინრო-გეოლოგიურ ერთეულებს შორის; განისაზღვრება სტრუქტურული ზონები. მოხდეს ფერდობის გეოდინამიკური პირობების შეფასება; ფერდობზე განვითარებული მეწყრული მოვლენის ზუსტი გეომეტრიული პარამეტრების დადგენა - გავრცელების ფარგლების, მისი გადაადგილების მიმართულების განსაზღვრა, მეწყრული ნაპრალების ფორმებისა და ზომების დადგენა; მეწყრული პროცესის ზეგავლენის შეფასება საცხოვრებელ სახლებთან, ნაკვეთებთან და სხვა არსებულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში. ტერიტორიაზე კლდოვანი ქანების არსებობის შემთხვევაში ამ ქანების საველე გეომექანიკური აღწერები (GSI, RMR)	–	1	25000.00	25000.00
მეწყრის სიმძლავრის, სრიალის შესაძლო ზედაპირის დადგენისა და არსებული გრუნტების ფიზიკურ და მექანიკურ თვისებათა მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით (მათ შორის გრუნტის წყლის დონეების დაფიქსირებით) ტერიტორიაზე 25 მეტრამდე სიღრმის ვერტიკალური ჭაბურღილების (BH) გაყვანა სვეტური ბურღვის მეთოდით (სულ 8 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 200 გრძ.მ). ჭაბურღილებიდან გრუნტებისა და წყლის ნიმუშების აღების აღება, შეფუთვა, ეტიკეტირება	მ	200	215.00	43000.00
მეწყრულ ფერდობზე, ძირითადად მეწყრის კონტურის შიგნით, 20 ადგილზე გეოფიზიკური კვლევის ჩატარება ვერტიკალური ელექტრო ზონდირების (VES) მეთოდით, ლითოლოგიური ჭრილის შესწავლა 50 მეტრის სიღრმეზე, რითაც განისაზღვრება ფერდობის ზედაპირზე არსებული გრუნტების გავრცელება სიღრმეში;	ცდა	20	450.00	9000.00

ლაბორატოტიული სამუშაოები				
გრუნტები				
ჭაბურღილებიდან აღებულ გრუნტების ნიმუშებზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რითაც დადგინდება გამოვლენილი ფენების (სგე-ების) ფიზიკური და მექანიკური თვისებატა მახასიათებლები	კომპლექტი	8	1300.00	10400.00
ქიმიური ანალიზი				
გრუნტის ქიმიური ანალიზი	ცდა	3	150.00	450.00
გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი (ჭაბურღილში წყლის არსებობის შემთხვევაში)	ცდა	2	150.00	300.00
საოფისე კვლევები				
საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მათი ანალიზი (სამიზნე არეალის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, სადაც გრაფიკულად იქნება ასახული ფერდობზე განვითარებული მეწყრული მოვლენის კონტური და ნაპრალები, მიმართულება და სხვა; ჭაბურღილების პასპორტები (ლითოლოგიური სვეტები); გეოფიზიკური კვლევის მონაცემების დამუშავება; კლდოვან ქანებზე ჩატარებული საველე გეომექანიკური აღწერები (GSI, RMR) პროგრამული დამუშავება; მეწყრული ფერდობის გრძივი და განივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების აგება და ფერდობების მდგრადობის შეფასება) და საბოლოო ტექნიკური ანგარიშის შედგენა ტექსტური და გრაფიკული ნაწილებით, სადაც შეფასებული იქნება შესწავლილი ფერდობის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური პირობები და ამ პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული იქნება არსებული მეწყრული მოვლენის შემდგომი უარყოფითი ზემოქმედების რისკები ზეგავლენის არეალში არსებულ საცხოვრებელ სახლებთან, ნაკვეთებთან და სხვა არსებულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით.	_	1	16000.00	16000.00
ჯამი დღგ-ს გარეშე (ლარი)				126150.00
დღგ18%			18%	22707.00
ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)				**148857.00**